მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარი

დანართი 1

ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
	იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, შატილის ქუჩა № 4
	პროგრამის განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, შატილის ქუჩა № 4
	ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი)	info@eeu.edu.ge, +995 32 2 48 01 41
	ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	დავით ჩერქეზიშვილი, 591 00 70 50, dcherkezishvili@gmail.com;
	საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	რუსუდან ჩიქოვანი, 577 50 53 54, rusikochikovani@yahoo.com;

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
	პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება	1) ქართული ენა და ლიტერატურა 2) ინგლისური ენა
	ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი)	№10, 17.03.2016
	პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა	20
	სწავლების ენა პროგრამის მიხედვით	ქართული
	პროგრამის მოცულობა კრედიტებში	60
	მიზანი და სწავლის შედეგი *	იხ. დანართი 1 და 2

ინფორმაცია მოდულის შესახებ

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა	ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ		
					უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	8	2150	2	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	ზეპირი გამოცდა/გასაუბრება	სპეციალური პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ვებგვერდზე: http://eeu.edu.ge
2	ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	12	2250	3	ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	ზეპირი გამოცდა/გასაუბრება	სპეციალური პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ვებგვერდზე: http://eeu.edu.ge

*მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი

ხელმოწერა

დანართი №1

ა) პროგრამის მიზნებია:

პროგრამის მიზანია მოამზადოს საბაზო და საშუალო საფეხურის (უცხო ენების მასწავლებლის მიამრთულების შემთხვევაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის) მასწავლებელი, რომელსაც ექნება შესაბამისი საგნის სწავლებისათვის საჭირო ცოდნა, უნარები და პროფესიული მახასიათებლები.

პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ **წარჩინებული მასწავლებლის** მახასიათებლებთან და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული **უფროსი მასწავლებლის** სტატუსით გათვალისწინებულ შედეგებთან.

დანართი 2

გ) სწავლის შედეგები: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება (საერთო ყველა მიმართულებისათვის)	▪ გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; ▪ აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკულად გაცნობიერება; ▪ იცის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი და ინოვაციური სტრატეგიები და მათი გამოყენების შესაძლებლობები; ▪ სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით იცის მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების მეთოდები; ▪ აცნობიერებს თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში; ▪ იცის კლასის მართვისა და კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიები; ▪ აცნობიერებს შეფასების შედეგების გამოყენების მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში; ▪ აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის; ▪ იცის ინკლუზიური განათლების პრნციპები; ▪ იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი; ▪ იცნობს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურას; ▪ იცის, როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემო
ცოდნა და გაცნობიერება (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის	▪ იცის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოსწავლის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამისა და სტანდარტის მოთხოვნები; ▪ იცნობს ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და სტრატეგიებს; ▪ აცნობიერებს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების აუცილებლობას მოსწავლეთა

მიმართულებისთვის)	ენობრივი და წიგნიერების უნარების განვითარების პროცესში, ▪ აცნობიერებს ენის ძირითადი სამეტყველო უნარების (მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის) მნიშვნელობას მოსწავლის ენობრივი კომპეტენციების განვითარების პროცესში, ფლობს სწავლების შესაბამის მეთოდებს; ▪ აცნობიერებს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურული ფენომენის მნიშვნელობას მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბების, ასევე მისი დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების ფორმირების პროცესში; ▪ აცნობიერებს ქართული ლიტერატურის როლს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გააზრებაში; ▪ აცნობიერებს ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ ენის ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს; ▪ იცის პრაქტიკული გრამატიკის სწავლების პრინციპები და აცნობიერებს მის როლს ტექსტების ლინგვისტური ანალიზისა და მოსწავლეთა ენობრივი უნარების განვითარებაში; ▪ იცნობს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნების შესაბამის შეფასების კომპონენტებს და ფორმებს.
ცოდნა და გაცნობიერება (ინგლისური ენის მასწავლებლის მიმართულებისთვის)	▪ იცის, რა უცხოური ენების სწავლების თანამედროვე მიდგომები; ▪ იცის ენის სისტემის ასპექტებისა (ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, მართლწერა) და სამეტყველო უნარ-ჩვევების (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) სწავლა/სწავლების სტრატეგიები და ტექნიკები; ▪ იცის შესასწავლი ქვეყნის კულტურის სწავლების მნიშვნელობა ენის სრულყოფილად ათვისებისას და ენის სტრუქტურების სწავლებასთან ერთად ინტეგრირებულად აცნობს შესასწავლი ქვეყნის კულტურას; ▪ იცის დავალებების ინსტრუქციების ნათლად ჩამოყალიბება/ინტერპრეტირება სამიზნე ჯგუფის დონის გათვალისწინებით და აცნობიერებს მოსწავლეთათვის შემოქმედებითი უნარების განმავითარებელი ამოცანების შეთავაზების მნიშვნელობას; ▪ იცის მოსწავლის პიროვნული, კულტურული და ინტერკულტურული განვითარებისათვის სასწავლო მასალის სწორად შერჩევა როგორც დაწყებით, ისე საბაზო თუ საშუალო საფეხურზე მათი ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;

	▪ იცნობს შეფასების მრავალფეროვან და სპეციფიურ მეთოდებს შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასებისას უცხო ენის გაკვეთილზე.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (საერთო ყველა მიმართულებისათვის)	▪ შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; ▪ შეუძლია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის მისიისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო გეგმების შემუშავება; ▪ შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად; ▪ შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა; ▪ შეუძლია სწავლისა და განვითარების თეორიების ადეკვატური გამოყენება, მოსწავლეზე ორიენტებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვისათვის; ▪ შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებითა და მათი ინტერესების გათალისწინებით; ▪ შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა; ▪ შეუძლია მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და კულტურული მრავალფეროვნების გამოყენება პოზიტიური ერთიანი სასწავლო გარემოს შესაქმნელად; ▪ აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი; ▪ აქვს მოსწავლეებისა მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი; ▪ შეუძლია ინტერდისციპლინური მიდგომებით სწავლება; ▪ შეუძლია მოიძიოს, შექმნას და გამოიყენოს საგანმანათლებლო მიზნის შესაბამისი სასწავლო რესურსები; ▪ შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა/სწავლების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით; ▪ შეუძლია ექსტრაკურიკულარული საქმიანობების დაგეგმვა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად, მათი ავტონომიურობის გაზრდის მიზნით.
ცოდნის პრაქტიკაში	▪ შეუძლია მიზანმიმართული სასწავლო აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს

გამოყენების უნარი (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიმართულებისთვის)	მოსწავლეებში ენობრივი კომპეტენციებისა და წიგნიერების განვითარებას; ▪ შეუძლია სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა და წარმართვა, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ძირითადი სამეტყველო უნარების (მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის) მიზანმიმართულად განვითარებას; ▪ შეუძლია ენის ინტეგრირებული სწავლების მიდგომის გამოყენება, მოსწავლეებში ტექსტის გააზრება-ანალიზის უნარის გამომუშავების და გამოყენებითი გრამატიკის სწავლების მეთოდების გამოყენება; ▪ შეუძლია მოსწავლეთათვის ისეთი დავალებების შეთავაზება, რომლებიც ხელს ეუწყობს კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას; ▪ შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების ანალიზის საფუძველზე დაეხმაროს მათ ზოგადასაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების გაცნობიერებაში, ზოგადად, კულტურული კომპეტენციების განვითარებაში;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (ინგლისური ენის მასწავლებლის მიმართულებისთვის)	▪ შეუძლია, მიზნობრივად გამოიყენოს ენობრივი საშუალებებისა და სამეტყველო უნარ-ჩვევების სწავლისა და სწავლების სტრატეგიები; ▪ შეუძლია მოსწავლეებს ენა ასწავლოს სოციოკუტურულ კონტექსტში, დაეხმაროს მათ შეადარონ უცხოური და მშობლიური სამყაროები მსგავსებებისა და განსხვავებების მიხედვით, ამოიცნონ დამკვიდრებული სტერეოტიპები; ▪ შეუძლია მედია-რესურსის გამოყენება უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში;
დასკვნის უნარი (საერთო ყველა მიმართულებისთვის)	▪ საკუთარი პრაქტიკის კვლევის/ანალიზის საფუძველზე შეუძლია ინდივიდუალური პროფესიული განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების არგუმენტირებული დაგეგმვა; ▪ შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა და დასკვნების გაკეთება; ▪ საკუთარი პრაქტიკის და მოსწავლეთა შედეგების კვლევის, პროფესიული ლიტერატურის და კოლეგების გამოცდილების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეუძლია სასწავლო პროცესის, გარემოსა და სასწავლო რესურსების ცვლილებების დასაბუთება.

კომუნიკაციის უნარი (საერთო ყველა მიმართულებისთვის)	▪ შეუძლია პროფესიულ საკითხებზე ეფექტური კომუნიკაცია სასწავლო პროცესის მონაწილე ან დაინტერესებულ სხვადასხვა პირთან (მოსწავლეები, მშობლები, კოლეგები და სხვა); ▪ პროფესიულ საკითხებზე ზეპირ თუ წერილობით კომუნიკაციას ახორციელებს მიზნობრივი აუდიტორიისათვის გასაგებ ენაზე და აკადემიურად; ▪ იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო თანამედროვე ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესსა და პროფესიულ განვითარებაში;
სწავლის უნარი (საერთო ყველა მიმართულებისთვის)	▪ შეუძლია სხვადასხვა გზით მიღებული ახალი ინფორმაციის მიღება, სანდოობისა და საჭიროების მიხედვით გაფილტვრა და საკუთარ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირება/მისადაგება; ▪ აცნობიერებს და ასაბუთებს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებას; ▪ შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
ღირებულებები (საერთო ყველა მიმართულებისთვის)	▪ იცის, იზიარებს და მოქმედებს მასწავლებლის ეთიკის კოდექსის შესაბამისად; ▪ აცნობიერებს მასწავლებლის პროფესიის როლსა და მნიშვნელობას დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაში; ▪ მონდომებულია მოსწავლეებს დაეხმაროს ადამიანის უფლებების დაცვისა და საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვის სწავლაში; ▪ აცნობიერებს მოსწავლისათვის უსაფრთხო და სასარგებლო ინტერესების დაცვისათვის მოქმედების პრიმატს პროფესიულ ეთიკაში; ▪ აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობის მნიშვნელობას დადებითი სასწავლო გარემოს შექმნისთვის; ▪ აცნობიერებს და უზიარებს სხვებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობას; ▪ აცნობიერებებს პროფესიული ეთიკის წესების მნიშვნელობას ლოკლურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.